ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უწყვეტი განათლების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) უწყვეტი განათლების დებულება ითვალისწინებს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პრინციპის განვითარების გზით ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობას.

1.2. უწყვეტი განათლება განისაზღვრება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებით საკუთარი პერსონალისა და საზოგადოების ფართო სპექტრის უზრუნველყოფა პიროვნული და პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობების შეთავაზების გზით.

1.3. უნივერსიტეტი უწყვეტი განათლების პრიორიტეტების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების, შრომითი ბაზრის კვლევის, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა მხარეების ინტერესის გათვალისწინებით.

1.4. უწყვეტ განათლებას, საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

მუხლი 2. უწყვეტი განათლების მიზანი და ამოცანები

2.1. უწყვეტი განათლების მიზანია განათლების სფეროში ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილება და უნივერსიტეტის ჩამოყალიბება „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დაწესებულებად.

2.2. უწყვეტი განათლების ამოცანებია:

ა) ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს უწყვეტი განათლების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო თანამშრომლობას და უნივერსიტეტის ინტეგრაციას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;

ბ) საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის წვლილის გაძლიერება;

გ) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ეფექტიანობის გაზრდა და შრომითი კმაყოფილების ამაღლება;

დ) უნივერსიტეტის კურიკულუმების განვითარება და სწავლების მეთოდების მორგება „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პრინციპებისთვის;

ე) უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ვ) მოქალაქეების დასაქმებაში წვლილის შეტანა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფებისთვის შრომით ბაზარზე პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების გზით;

ზ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება უწყვეტი განათლების მნიშვნელობის შესახებ;

თ) მოწყვლადი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება და ამ გზით საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ი) საქართველოს სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში უნივერსიტეტის წვლილის შეტანა.
კ) თანამშრომლობის გაღრმავება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიზნესის სექტორთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რაც გულისხმობს, როგორც ბაზრის მოთხოვნების ასახვას უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პოლიტიკაში, ისე დამატებითი მატერიალური, ფინანსური და ცოცხალი რესურსების მოძიებას უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კომპონენტის განსავითარებლად.
ლ) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, უცხოელი ლექტორებისა და ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 3. უწყვეტი განათლების პროგრამა.

3.1. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კომპონენტი ფართო საზოგადოებას სთავაზობს როგორც თეორიული, ისე პროფესიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამებს (მოდულებს, კურსებს), რომლებიც, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ორიენტირებულია სასწავლო კურსების მრავალფეროვნებაზე და ამდენად, კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებასაც იძლევა.
3.2. უწყვეტი განათლების პროგრამებით (მოდულებით, კურსებით) სარგებლობა შეუძლია საზოგადოების ფართო ფენას: სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობისა და განათლების მქონე პირებს.
3.3. უწყვეტი განათლება, მიზნად ისახავს რა პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მორგებულია, როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირებზე, ისე - სხვადასხვა დარგის პროფესიონალებზე.
3.4 უწყვეტი განათლება შეიძლება ემსახურებოდეს სამიზნე ჯგუფების არა მხოლოდ პროფესიულ განვითარებას, არამედ მათი ინტელექტუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების (მაგ. ჰობი) დაკმაყოფილებას.
3.5. უწყვეტი განათლების ფარგლებში სწავლება მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან სასწავლო კურსებს (მათ შორის - სერტიფიცირებულს) და ითვალისწინებს სწავლების გრაფიკის და ფორმის (მათ შორის - ელექტრონული და ვირტუალური) მორგებას სამიზნე ჯგუფებზე.
3.6. უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო კურსები შეიძლება ინტეგრირებული იყოს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო პროგრამაში და/ან არსებობდეს მისგან დამოუკიდებლად.
3.7. უწყვეტი განათლების პროგრამას (მოდულს, კურსს) შეიძლება მიენიჭოს ECTS კრედიტები და აღიწეროს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით შესაბამისი სილაბუსის სახით.
3.8. სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელს/კურსდამთავრებულს გადაეცემა სერტიფიკატი.

მუხლი 4. უწყვეტი განათლების კომპონენტები

4.1. უწყვეტი განათლება მოიაზრებს ორ კომპონენტს:

4.1.1. უწყვეტი განათლება უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის;

4.1.2. უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისთვის.

4.2. უწყვეტი განათლება უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის მიზნად ისახავს უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ინტერესების დაკმაყოფილებას.

4.3. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის უწყვეტი განათლების ამოცანაა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ეფექტიანობის გაზრდა და შრომითი კმაყოფილების ამაღლება.

4.4. უნივერსიტეტი, არსებული საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფართო საზოგადოებას სთავაზობს დარგობრივი და ზოგადი უნარების განმავითარებელ მოკლევდიან და გრძელვადიან სასერტიფიკაციო კურსებს.

მუხლი 5. უწყვეტი განათლების ადმინისტრირება

5.1. უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელია სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“).

5.2. ცენტრი უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით:

ა) ატარებს უწყვეტი განათლების საჭიროების კვლევას;

ბ) შეიმუშავებს უწყვეტი განათლების პრიორიტეტებს;

გ) კონტროლს უწევს უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებას;

დ) უნივერისიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების პროგრამების შესახებ საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირებას.

5.3. უწყვეტი განათლების პროგრამების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

ბ) თვითდაფინანსება;

გ) სპონსორები;

დ) დამსაქმებლები და დაინტერესებული მხარეები.

მუხლი 6. უწყვეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.

6.1. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ხარისხის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

6.2. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ხარისხის შიდა მექანიზმია:

ა) უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა;
ბ) უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები;
გ) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უწყვეტი განათლების პროგრამის დანერგვასა და განვითარებაში;
დ) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები;
ე) უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი და სანდოობის მექანიზმი.
ვ) უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები.
6.3. ხარისხის შეფასება ხორციელდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები გამოყენებით:
ა) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) მსურველთა, მსმენელთა, კურსდამთავრებულთა რაოდენობა;
ბ) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან;
გ) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) თვითშეფასება;
დ) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა;
ე) უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) განმახორციელებელთა კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან;
ვ) უწყვეტი განათლების პროგრამის მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან;
ზ) პროგრამის (მოდულის, კურსის) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესისა და სანდოობის მექანიზმის არსებობა.

მუხლი 7. უწყვეტი განათლების საინფორმაციო უზრუნველყოფა

7.1. ინფორმაცია უწყვეტი განათლების პროგრამების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7.2. უწყვეტი განათლების პროგრამების რეკლამა ხორციელდება სდასუ-TV და სოციალური რეკლამის საშუალებით.